

# ინტერრაქციული ჯგუფის დოკუმენტი

(დაფუძნებული „სახალხო ფრაქციის“ მიერ წარმოდგენილ პირველად კარიანტზე)

საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მდგრადობის, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების განმტკიცების, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის

კ ო ნ ც ე ზ ც ი ა

(ძირითადი პრინციპები)

თავისუფლება და დამოუკიდებლობა ქართველი ერის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა მისი ათასწლოვანი და მრავალჭირნახული ისტორიის განმავლობაში.

მეოცე საუკუნეში უკვე მეორედ მოგვეცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესაძლებლობა.

დასახული მიზნის პირველი ეტაპი განხორციელდა – საქართველო საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული დამოუკიდებელი ქვეყანაა, რომელსაც ყველა სახელმწიფოებრივი ატრიბუტი გააჩნია. ამჟამად ჩვენს წინაშე არანაკლებ საპასუხისმგებლო ამოცანა დგას – **უსაფრთხოების ქმედითი მექანიზმების შემუშავების გზით მოპოვებული დამოუკიდებლობის განმტკიცება და სახელმწიფოს აღმშენებლობის დასრულება.**

მთავარ დაბრკოლებას ქართული სახელმწიფოებრიობის აღორძინების გზაზე ქვეყნის საზოგადოებრივი და პოლიტიკური მდგრადობის, სუვერენიტეტის დაცვის, უსაფრთხოების გარანტიების უქონლობის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემები წარმოადგენს. მათი გადაჭრის გარეშე საქართველო ვერ მიაღწევს განვითარების იმ დონეს, რომელიც ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებისა და საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება.

უძრავობის პერიოდის სტაბილურობის პარამეტრებით თანამედროვე მდგომარეობის შეფასება, ქვეყნის ძველი მეთოდებითა და სტილით მართვა მიუღებელია. ისტებლიშმენტის ცნობიერების ძირეული ცვლილება, შექმნილი ვითარების საფუძვლიანი ანალიზი, „გაყინული არასტაბილურობის“, როგორც დაყონებული მოქმედების ნაღმის, არსებობის აღიარება, საზოგადოებრივი ცხოვრების მდგრადობისა და პოლიტიკური სისტემის სტაბილურობის ძირითადი პრინციპების შემუშავება – დროის მოთხოვნაა.

სახელმწიფოს სტაბილურობას საზოგადოებრივი ცხოვრების მდგრადობა განაპირობებს. მისი ძირითადი პარამეტრებია: **პოლიტიკური სისტემის სრულყოფა და თვითმმართველობის ფორმირება, დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების ჩამოყალიბება, სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება, ეკონომიკურ ეფექტიანობასა და სოციალურ სამართლიანობაზე დაფუძნებული სახალხო მეურნეობრიობის სისტემა, თავისუფალი მეწარმეობის განვითარება, საშუალო ფენის ფორმირების ხელშეწყობა, ეკლესიის სოციალური ფუნქციის გააქტიურების მეშვეობით საზოგადოების სულიერი აღორძინება, დამოუკიდებელი მასმედია და სხვ.**

სახელმწიფოსა და საზოგადოების უმნიშვნელოვანეს ამოცანად უნდა იქნეს მიჩნეული ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სოციალური ფუნქციის გააქტიურება. კონსტიტუციით განცხადებული „რწმენისა და აღმსარებლობის სრული თავისუფლება, ეკლესიის დამოუკიდებლობა სახელმწიფოსაგან“, არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, თითქოს ეს საზოგადოებისა და ეკლესიის ურთიერთგანცალკევებას ნიშნავდეს. საზოგადოება და ეკლესია ურთიერთგანუყოფელია. მათი ურთიერთქმედება საზოგადოებრივი ცხოვრებისა და პოლიტიკური სისტემის მდგრადობას განაპირობებს.

საქართველოს სახელმწიფოებრივი სტაბილურობის, ქვეყნის პოლიტიკური მდგრადობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება **სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა დონის ორგანოებში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობის უზრუნველყოფას.**

საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა მნიშვნელოვანი ნაწილი მეზობელ ერთა ეთნიკურ ნათესავეებს წარმოადგენს. მათი სასიცოცხლო მისწრაფებების დაცვა საქართველოს ბედით, მისი პოლიტიკური სტაბილურობით რეგიონის ქვეყნების დაინტერესების საწინდარია. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს, რომელმაც ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები პოლიტიკურ სარბიელზე უნდა გაიყვანოს.

ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური უფლებების შეზღუდვა ხელისუფლების ორგანოებში მათი წარმომადგენლობის ხარისხით ვლინდება. პოლიტიკურ მართვას

ჩამოცილებული ეროვნული უმცირესობა, ეთნიკური ჯგუფი, თუ მანც და მანც სახელმწიფოს პოლიტიკური მოწინააღმდეგე არა, მისი სტაბილურობის შემოქმედი ვერ იქნება, ზუსტად ისევე, როგორც სოციალური ჯგუფი (ფენა), რომელსაც ხელისუფლების ორგანოებში თავისი წარმომადგენელი არ ჰყავს.

სახელმწიფომ მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებით მცირერიცხოვანი ეროვნული წარმონაქმნების (უწინარესად, აფხაზთა ავტოქთონური ჯგუფის) მიმართ, რომლებიც, გასაგები მიზეზების გამო, მეტად მტკივნეულად განიცდიან არათუ დისკრიმინაციის, არამედ – მათი ბედისადმი გულგრილობის ნებისმიერ გამოვლინებას.

ხელისუფლების ორგანოებში განსაკუთრებით მცირერიცხოვანი ეროვნული წარმონაქმნების პოლიტიკური წარმომადგენლობის უზრუნველყოფა სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანად უნდა იქცეს. საამისოდ აუცილებელია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებისა და მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინება, რათა თავიდან იქნეს აცილებული როგორც ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შელახვის, ასევე აპარტიდისა და ეთნოკრატიის რეციდივები.

აფხაზეთში უნდა ჩამოყალიბდეს პოლიტიკური ერთეული მაქსიმალურად ფართო ავტონომიური უფლებებით, რათა გადალახული იქნეს ომის შედეგები, დაცული იქნას ადამიანის უფლებები, აფხაზ ერს მიეცეს განვითარების მტკიცე გარანტიები.

რეგიონის ცენტრალურ სახელმწიფოში, როგორც პრიზმაში, გარდატყდება მეზობელი ქვეყნების ინტერესთა მრავალფეროვანი სპექტრი.

მერმისი ისტორიიდან და თანამედროვეობიდან აღმოცენდება. ამჯერად მისი ვექტორი სრულიად ახალ კავკასიურ ერთობას – როგორც ევროპის ერთ-ერთ რეგიონულ წარმონაქმნს – მიემართება.

საქართველოს ინსტიტუციონალიზაციისა და ხალხის ცნობიერებაც ამის შესაბამისად უნდა გარდაიქმნას, რათა შეიძლოს საკუთარი თავისთავადობის დენტიფიკაცია არა მარტო დღევანდელ საქართველოსთან, არამედ – მომავალ ერთობასთან, რომლის კონტურებიც ახლა ისახება და რომლის ფორმირებაც, მრავალ დაბრკოლებათა მიუხედავად, გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს.

საზოგადოებრივი ცხოვრების მდგრადობა, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების განმტკიცება, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა უშუალოდ უკავშირდება საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის ისტორიულ გამოცდილებას, მის თანამედროვე მდგომარეობასა და პერსპექტივებს.

როგორც ისტორია მოწმობს, რუსეთი წარსულში პრობლემებს უქმნიდა საქართველოს, ან ყველა საშუალებით ცდილობდა გაემწვაკვებინა არსებული წინააღმდეგობანი და შემდეგ მათი მოგვარების საბაბით ექცია იგი სატელიტ, ხოლო უარეს შემთხვევაში – კოლონიურ ქვეყნად. ამრიგად, რუსეთი ისწრაფვოდა იმის დამტკიცებას, რომ რეგიონში სიტუაციის მართვა ვითომც მხოლოდ მას ხელეწიფებოდა და ამის საფუძველზე სარგებლობდა მანდატით საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან საქართველოში მოქმედებისათვის.

საქართველოს პერმანენტულ ანექსიას, – რომელიც 1801 წელს რუსეთში მიღებული და 1802 წელს თბილისში გამოცხადებული მანიფესტით და აღმოსავლეთ საქართველოს ოკუპაციით დაიწყო, – ათწლეულები დასჭირდა. დასავლეთ საქართველოს უკანასკნელი ფორპოსტის – აფხაზეთის დაპყრობა რუსეთმა მხოლოდ 1864 წელს მოახერხა.

1921 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) ოკუპაციით სათავე დაედო ანექსიის მეორე პერიოდს, რომლის შედეგებიც დღემდე არ არის ლიკვიდირებული. მათი გამოვლინებებია: 1989 წლის 9 აპრილის, შიდა ქართლისა და აფხაზეთის სისხლიანი ტრაგედიები, რუსეთის სპეცსამსახურების ჩარევა საქართველოს ხელისუფლების საქმიანობაში, ქვეყნის ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების განლაგება,

რუსეთის სასაზღვრო ნაწილების თვითნებური, ხშირად – პროვოკაციული და ამკარად მტრული გამოხდომები როგორც თვით საქართველოს, ისე – ჩვენი ქვეყნის პარტნიორი სახელმწიფოების მიმართ და სხვ. აღსანიშნავია, რომ ყოველივე ეს ხდება მაშინ, როდესაც არ არსებობს საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების განლაგების სამართლებრივი საფუძველი.

რუსეთის ფედერაციის მესვეურთა განცხადებით, „რუსეთს განსაკუთრებული სტრატეგიული ინტერესები“ აქვს კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში. ამ ინტერესთა დაცვის ძირითად პირობად საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ნაწილების ბაზირებაა მიჩნეული. სინამდვილეში საქმე ეხება არა რუსეთის მხოლოდ ე. წ. სტრატეგიულ ინტერესებს, არამედ – მის ტრადიციულ მისწრაფებას ყველა საშუალებით შეინარჩუნოს სამხედრო ყოფნა საქართველოში, რაც ხელსაყრელ ვითარებაში, შეიძლება ქვეყნის ან მისი ნაწილის (აფხაზეთი და შიდა ქართლი) მორიგი ოკუპაციის საფუძვლად იქცეს.

იმის გათვალისწინებით, რომ ისტორიულად რუსეთის ჯარის ყოფნა საქართველოში არასოდეს განაპირობებდა ჩვენი სამშობლოს სუვერენიტეტის განმტკიცებას, მისი საზოგადოებრივი ცხოვრების სტაბილურობას, ქვეყნის პოლიტიკური სისტემის სასიცოცხლოდ აუცილებელი ინსტიტუტების ფუნქციონირებას, სავსებით გასაგებია ჩვენი შეშფოთება ამ ჯარის მომავალ სტატუსთან დაკავშირებით, თუ არ მოხდა არსებითი ცვლილებები ორმხრივ ურთიერთობებში.

რუსეთის, ისევე როგორც, ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს ინტერესების რეალიზაცია კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში ძალისმიერი მეთოდებით, მით უფრო – სამხედრო ყოფნით, სრულიად შეუძლებელია. საამისოდ საკმარისია ურთიერთხელსაყრელი პოლიტიკური და საეკონომიკური თანამშრომლობის გააქტიურება, რაც სავსებით შეესაბამება როგორც ორი მეზობელი ქვეყნის – საქართველოს და რუსეთის, აგრეთვე – რუსეთისა და მთლიანად კავკასიის რეგიონის სახელმწიფოთა ინტერესებს.

რუსეთი საქართველოს მეზობელია. მასთან ურთიერთობა აუცილებელია. ამ ურთიერთობათა ინტენსიფიკაცია რუსეთის ისტებლიშმენტისაგან საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას უკავშირდება, რომლის პარამეტრიც ორი მეზობელი ქვეყნის თანასწორუფლებიანობის აღიარებაა. რუსეთში უნდა ირწმუნონ, რომ საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა და ჩვენ გვსურს დამოუკიდებლობის ბოლომდე განმტკიცება.

ცალკეული პოლიტიკოსების პოზიცია დაბრკოლებად არ უნდა იქცეს მეზობელი ქვეყნების საზოგადოებათა შორის ინფორმაციის გაცვლის, სახალხო დიპლომატიის, არასამთავრობო ურთიერთობათა კომერციალიზაციის, კულტურული და სამეცნიერო-საგანმანათლებლო თანამშრომლობის განვითარების გზაზე.

რუსეთთან მიმართებით საქართველოს პოლიტიკა ღია უნდა იყოს. საგნების თავისი სახელი უნდა დაერქვას. ქართული პოლიტიკის ყველაზე მძლავრი იარაღი სიმართლეა. მისი უგულვებელყოფა დანაშაულებრივ უპასუხისმგებლობას წარმოადგენს.

ქართული პოლიტიკის სიმართლისა და სამართლიანობის გამოვლინებად რუსეთისა და ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მიმართ ცალმხრივი და საბედისწერო დათმობების შეწყვეტა უნდა იქცეს. ეს არათუ გამორიცხავს, არამედ – გულისხმობს ორმხრივი, ურთიერთხელსაყრელი კომპრომისების შესაძლებლობებს.

სიმართლისა და სამართლიანობის პრინციპების განხორციელებისათვის აუცილებელია ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცების მკაფიოდ განცხადებული პოლიტიკური ნება. ხალხი უნდა განიმსჯვალოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების იდეებით, სამშობლოს წინაშე მამულიშვილური მოვალეობისა და გაცნობიერებული პასუხისმგებლობის სულისკვეთებით.

განვითარების მოცემულ ეტაპზე სახელმწიფოს როგორც პოლიტიკური ორგანიზატორის ფუნქცია განსაკუთრებით უნდა გაიზარდოს. ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების სტაბილურობის

ძირითადი პარამეტრების შესაბამისად, ხელისუფლებამ მაღალი სამართლებრივი შეგნება და პოლიტიკური ნება უნდა გამოავლინოს.

სიძარტლე და სამართლიანობა ქართული პოლიტიკის ქმედით იარაღად უნდა იქცეს.

თავიდათავი სიძარტლე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემასთან დაკავშირებით უნდა ითქვას.

უწინარეს ყოვლისა, პირუთვნელი შეფასება უნდა მიეცეს არსებულ პოლიტიკურ ვითარებას და ამ საფუძველზე დაიწყოს საკითხების მოგვარება, რომელთა გადაწყვეტაც დღესვეა შესაძლებელი, დაისვას პრობლემები, რომელთა გადაჭრაც უახლოესი მომავლის ამოცანას წარმოადგენს, აისახოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სტრატეგრაფიული კონტური და ამის შესაბამისად შემუშავდეს პრობლემის მოგვარების ეტაპობრივი გეგმა, დაიწყოს საქმიანობა მისი პრაქტიკული განხორციელებისათვის, რისთვისაც მოქმედებაში უნდა მოვიდეს სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული ყველა მექანიზმი. დაუშვებლად იქნეს მიჩნეული ამ საქმიანობის პოპულისტური ინტერპრეტაცია, მოსალოდნელი წარუმატებლობისა თუ მარცხის მიჩუმათება; აღიარებული იქნას, რომ პრობლემა მისი გადავადებით, ან საზოგადოების ყურადღების სხვა საკითხზე გადატანით, მით უფრო – მოვლენების შელამაზებით, ან კიდევ ოპოზიციის წინააღმდეგ ფსევდოპატრიოტული ლოზუნგების გამოყენებით, არ მოგვარდება. ხელისუფლებისა და ოპოზიციის ერთადერთ მიზანს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის განმტკიცება უნდა წარმოადგენდეს.

საქართველოს დროებით ჩამოცილებული შიდა ქართლი და აფხაზეთი მშობლიურ წიაღს უნდა დაუბრუნდეს. ამ საშვილიშვილო საქმეში თავიანთი წვლილი უნდა შეიტანოს ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის საზოგადოებრიობამ, ქვეყნის სხვა რეგიონების წარმომადგენლებმა, მათი ეროვნულ კუთვნილების, სარწმუნოებისა და პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად. ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს სრულიად სხვადასხვა ეროვნების ადგილგადასაცვლებულ პირთა საყოფაცხოვრებო პრობლემებზე ზრუნვას, საომარ მოქმედებათა შედეგად გაპარტახებული დასახლებული პუნქტების აღორძინებას, მათი ინფრასტრუქტურების აღდგენას.

სრული სიძარტლე ითქვას იმ მიზეზების შესახებ, რომლებმაც ხელი შეუწყო შიდა ქართლსა და აფხაზეთში სისხლისმღვრელი კონფლიქტების გაჩაღებას, უსასტიკესი ზოცვა-ჟღელტის, ეთნიკური წმენდისა და მასობრივ მკვლელობათა მეშვეობით აღნიშნული რეგიონების საქართველოდან ჩამოცილებას, ტერორისტების, იარაღითა და ნარკოტიკებით მოვაჭრეთა, სხვა ორგანიზებულ დამნაშავეთა ბუდედ, უკონტროლო ტერიტორიებად მათ გადაქცევას, რომლებიც ახალი უბედურებით ემუქრება არა მარტო საქართველოს, არამედ – მთელ რეგიონს.

ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთის კონფლიქტები არის არა ეთნიკური, არამედ – სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტები, რომლებიც აფერხებს საქართველოს სუვერენიტეტის განმტკიცებას.

რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალები ძირითადად ვერ ასრულებენ თავიანთ ფუნქციას. მათ ვერ უზრუნველყვეს მოსახლეობის უსაფრთხოება, წინ ვერ აღუდგნენ ქართველთა და სხვა ეროვნების მოსახლეობის გენოციდსა და ეთნიკურ წმენდას, არ სრულდება გადაწყვეტილებანი დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების შესახებ. პირიქით, აფხაზეთში სამშვიდობო ძალთა ზოგიერთი ქვედანაყოფი თავად მონაწილეობს მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართულ აქციებსა და ოპერაციებში. არის საფრთხე, რომ ისინი სეპარატისტთა დამცველებად, თავისებურ სასახლერო ჯარებად გადაიქცნენ აფხაზეთსა და დანარჩენი საქართველოს შორის. ყოველი ეს ქმნის არასტაბილურ ვითარებას კონფლიქტის ზონაში და მძიმეარე ტერიტორიებზე.

იმის გამო, რომ არ წარმოებდა საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული პოლიტიკური და სამხედრო ხელშეკრულებების წინასწარი სრულყოფილი სამართლებრივი ექსპერტიზა და არ ხდებოდა მათი პოლიტიკური შეფასება, აღნიშნულმა შეთანხმებების

არასრულმა რეალიზაციამ ფაქტობრივად ხელი შეუწყო სეპარატისტული რეჟიმების გარკვეულ ლეგალიზაციას. ეს სავსებით შეესაბამებოდა მარიონეტული ხელისუფლების ინტერესებს.

საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის სამხედრო ნაწილების ქმედებებს პირდაპირ მოჰყვა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა.

ყოველგვარი სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო თანამშრომლობა ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ რეჟიმებთან სხვა სახელმწიფოების ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ, აგრეთვე ჰუმანიტარული აქციების განხორციელება საქართველოს ხელისუფლების ნებართვის გარეშე – საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისაკენ მიმართულ ქმედებად უნდა ჩაითვალოს.

რუსეთის ფედერაციის მიერ დსთ-ის და გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან შეთანხმებით გამოყოფილი სამშვიდობო ძალების მეშვეობით განხორციელებული ოპერაციები, ისევე როგორც, მთლიანად რუსეთის შუამავლობით წარმართული სამშვიდობო პროცესი, შემაშფოთებელ, ხშირად საგანგაშო შედეგებს იძლევა. საომარ მოქმედებათა შეწყვეტის მეოთხე წლისთავზე კვლავ გრძელდება ქართველთა გენოციდი და ეთნიკური წმენდა, ადგილი აქვს სრულიად სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა მარცვა-რბევისა და მკვლელობის ფაქტებს, ადამიანთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვამ არანაულ მასშტაბს მიაღწია.

რუსეთის შუამავლობით გამართული ხანგრძლივი და მრავალრიცხოვანი მოლაპარაკებების მიუხედავად, ვერ მოხერხდა ასეულ ათასობით დევნილის მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების საკითხებზე შეთანხმება. არ სრულდება დსთ-ის სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრათა გადაწყვეტილებები. მეტიც, ისინი წინასწარ განზრახულად და ცალმხრივად ირღვევა.

როგორც ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რუსეთის სამხედრო ნაწილების ყოფნა შესაძლოა გამოყენებულ იქნას საქართველოში დესტაბილიზაციის მძლავრ ფაქტორად. ამ საკითხში რუსეთის ხელისუფლების ყველა შტო და პოლიტიკური მიმდინარეობა შესაშურ სოლიდარობას იჩენს. არაერთგვაროვანია დამოკიდებულება ასევე დსთ-სთან. ბევრისათვის დსთ გარდამავალი საფეხურია უფრო „მჭიდრო ინტეგრაციაზე“, რომლის თვალსაჩინო ნიმუშსაც რუსეთ-ბელორუსის „კავშირი“ და მისი განხორციელების ხერხები და მეთოდები წარმოადგენს. დსთ, ზოგიერთი რუსი პოლიტიკოსის თვალში, მიზნად ისახავს აწ გარდასული იმპერიის ახალი ფორმით რენიშაცია უწინდელი „მოკავშირე რესპუბლიკებისათვის“ სახელმწიფოებრიობის მხოლოდ ფორმალური ნიშნების შენარჩუნებით. ის, რომ საქმე ეხება მხოლოდ ცალკეულ პოლიტიკოსებს, მაინც არ ხსნის ზოგადსახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის საკითხს.

ამ ვითარებაში საქართველოს უნდა გააჩნდეს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის განმტკიცებისა და უსაფრთხოების ბოლომდე გაცხადებული სტრატეგია.

არასტაბილური საქართველო ისევე, როგორც არასტაბილური კავკასია ხელს არ უნდა აძლევდეს მათ, ვინც რეალურად აფასებს მსოფლიოში და თვით რუსეთში მიმდინარე პროცესებს, ვინაიდან ნებისმიერი დესტაბილიზაცია არა მარტო საქართველოს, არამედ – რუსეთის პოლიტიკური, სამხედრო-ტექნიკური, საფინანსო-ეკონომიკური და რაც მთავარია, ადამიანური რესურსების უნაყოფო ფლანგვას იწვევს, კიდევ უფრო ართულებს ურთიერთობებს როგორც ორ მეზობელ ქვეყანას, ისე – რუსეთსა და კავკასიას შორის.

საქართველოს ევროპული ორიენტაცია რუსეთის იგნორირებას არ ნიშნავს. ეს გლობალური მაინტეგრირებელი ტენდენციების უგულვებელყოფა იქნებოდა.

საქართველომ უპირატესობა უნდა მიანიჭოს სწორედ ამ პრინციპებზე დაფუძნებულ მდგრად საერთაშორისო გაერთიანებებს. მათ საქმიანობაში მონაწილეობა ხელს შეუწყობს ვითარების სტაბილიზაციას საქართველოსა და მთლიანად რეგიონში.

ახალი ევროპის უსაფრთხოების ისტორიაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ევრო-ატლანტიკური ალიანსისა და ევროკავშირის გაფართოებას. ამასთანავე გათვალისწინებული უნდა იქნას ყველა სახელმწიფოს ინტერესი, რომელთაც ხელშეახები წვლილის შეტანა ძალუძთ

ევროპული თანამეგობრობის ფორმირებაში, რამდენადაც ისინი კულტურად არიან ევროპულ ღირებულებათა მატარებელი.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ვექტორი მიმართული უნდა იყოს მზარდი ერთიანი ევრო-ატლანტიკური უშიშროების სისტემისაკენ, ევროპული უშიშროების არქიტექტურაში ინტეგრირებისაკენ.

საქართველოს უმთავრესი პრობლემა – ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა – კიდევ ერთხელ ნათელყოფს, რომ უშიშროება და სტაბილურობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სრულდება საერთაშორისო მოქცევის მაღალი სტანდარტები.

ევროპის უსაფრთხოების გარანტიებისათვის აუცილებელია კავკასიის ქვეყნების ინტერესების გათვალისწინება. ამ მიზნის განსახორციელებლად პოლიტიკური კლიმატი სულ უფრო ხელსაყრელი ხდება.

დსთ-ის ფარგლებში რუსეთის ზოგიერთი ქმედება აშკარად ეწინააღმდეგება გაერთიანების წესდებას. ეს განსაკუთრებით შეეხება 1992-1993 წლებში აფხაზეთში რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ განხორციელებულ აგრესიას.

საქართველომ უნდა გაააქტიუროს პარტნიორობა მშვიდობის პროგრამის ფარგლებში ევრო-ატლანტიკურ ალიანსთან და მის წევრ-ქვეყნებთან. მათი მდიდარი გამოცდილება გასაზიარებელია როგორც შეიარაღებულ ძალთა ფორმირებისა და მათი სამოქალაქო კონტროლის, ისე – თავდაცვისა და უშიშროების დოქტრინების შემუშავების, სამხედრო კადრების აღზრდის, საინფორმაციო, აგრეთვე ტექნიკური თანამშრომლობისა და სხვა თვალსაზრისით.

ხელისუფლებამ მიზანდასახულად უნდა იმოქმედოს ევროპის საბჭოში საქართველოს წევრობის საკითხის გადაწყვეტისათვის, რაც თავისთავად მოაწავებს ჩვენი ქვეყნის ადგილისა და მისი პერსპექტივის განსაზღვრას ევროპულ თანამეგობრობაში, ევროპული სტანდარტებისა და ღირებულებების დამკვიდრებას საქართველოში.

ძალისხმევის გააქტიურება საჭირო ეუთო-ს შესაძლებლობათა მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენების მიზნით. ეუთო-სთან თანამშრომლობა ევროპული უსაფრთხოების პროცესებში საქართველოს აქტიური როლისა და ადგილის განსაზღვრისათვისაა აუცილებელი.

ევროპულ საზოგადოებაში საქართველოს ინტეგრაცია ხანგრძლივ და შრომატევად პროცესს წარმოადგენს. საქართველო მოწოდებულია გაააქტიუროს საქმიანობა აღნიშნული მიმართულებით. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით პერსპექტიულია ხმელთაშუა, შავი და კასპიის ზღვების აუზების ქვეყნების დიალოგისა და თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია, რაც ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთი ფლანგის გეოპოლიტიკური კონტურის ფორმირებას ისახავს მიზნად. მისი რეალიზაცია მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული კასპია-ევროპის სანავთობო მაგისტრალზე, რომელიც ქმნის ევროპასთან ეკონომიკური ინტეგრაციის პირობებს. ეს კიდევ უფრო ზრდის კავკასიის სახელმწიფოების, მათ შორის, საქართველოს როგორც სატრანზიტო ქვეყნის როლსა და მნიშვნელობას საერთო-ევროპულ პროცესში.

შავი და კასპიის ზღვების გავლით, ხმელთაშუა ზღვის აუზის ცენტრალური აზიის რეგიონთან დაკავშირება, სარკინიგზო, საავტომობილო, აგრეთვე ნავთობსადენი მაგისტრალების განვითარება აბრეშუმის გზის ჩრდილოეთ-სამხრეთის გზის შემდგომი მონაკვეთის ამოქმედების პერსპექტივებს სახავს. ამთავითვე გასააზრებელია ფართომასშტაბიანი და გრძელვადიანი ღონისძიებების ნუსხა, რომელთა ამოცანადაც ამ პრიორიტეტული მიმართულებების რეალიზება უნდა იქცეს.

საუკუნის პროექტში საქართველოს ჩართვა და უკრაინა-საქართველო-აზერბაიჯანი-შუა აზია სატრანზიტო არტერიის ამოქმედება კიდევ უფრო ნათლად გამოკვეთს ჩვენი ქვეყნის ფუნქციას და მკვეთრად გაზრდის საერთაშორისო თანამეგობრობის დაინტერესებას მთლიანად რეგიონის მიმართ.

ევროპული საგარეო ორიენტაცია ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური კაპრიზი, ან

მხოლოდ ტრადიციულ კულტურულ გარემოში დაბრუნების სურვილი როდია. ეს არის სასიცოცხლო აუცილებლობა, რომელთან მიახლოებისა და რომლის პოლიტიკური რეალიზაციის გარეშე ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცების, ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების მდგრადობის, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური აღორძინების წარმოდგენაც კი შეუძლებელი იქნებოდა.

ქართველების, აფხაზების, ოსების, აგრეთვე სხვა ეროვნების წარმომადგენელთა ერთობლივი მრავალწლოვანი ბრძოლის ისტორია საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მნიშვნელოვანი არგუმენტია ქართველი ერისა და ეროვნულ უმცირესობათა საერთო ინტერესების, მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და სამერძისო პერსპექტივის სასარგებლოდ.

საზოგადოებრივი ცხოვრების მდგრადობის, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების განმტკიცების, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით აუცილებელია გატარდეს შემდეგ ღონისძიებები:

1. შიდა ქართლისა და აფხაზეთის კონფლიქტების მოგვარებისა და დასკვნითი შეთანხმების მომზადების პროცესში საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა სრულუფლებიანი წარმომადგენლის მონაწილეობის გარანტიების შექმნა, მათი რეალიზების მექანიზმების ამოქმედება, დაინტერესებულ მხარეთა შორის უშუალო დიალოგის გააქტიურება.

2. სამშვიდობო პროცესში საერთაშორისო გაერთიანებათა შესაძლებლობების მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენება, რომლებიც დაინტერესებულნი არიან რეგიონში რეალური და სამართლიანი სტაბილიზაციის მიღწევით და თვითონვე გვევლინებიან სტაბილურობის გარანტებად.

3. მომიჯნავე სახელმწიფოების საზოგადოებრიობისა და პოლიტიკური ისტებლიშმენტისათვის საქართველოში მდგრადი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სტაბილური პოლიტიკური სისტემის ფორმირებისათვის ქმედითი ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობის განმარტება.

საქართველო რეგიონის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახელმწიფოს წარმომადგენს. რეგიონის სტაბილურობა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მდგრადობის საწინდარია. საქართველოს მდგომარეობა უშუალო კავშირშია კავკასიის სტაბილურობასა და მისი განვითარების პერსპექტივებთან.

გულდასმით იქნეს შესწავლილი საქართველოში სხვადასხვა ქვეყნების, უწინარესად, კავკასიისა და მომიჯნავე რეგიონების სახელმწიფოთა ინტერესები და ამ საფუძველზე შემუშავდეს საქართველოს განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია, განისაზღვროს უახლოესი ტაქტიკური ამოცანები.

4. მიღებული იქნეს პოლიტიკური გადაწყვეტილებები საქართველოს სტრატეგიული მისწრაფებების შესაბამისად სხვადასხვა სახელმწიფოების, საერთაშორისო გაერთიანებებისა და რეგიონალური კავშირების ინტერესთა ბალანსის ფორმირების მიზნით.

5. დაუშვებლად იქნეს მიჩნეული რუსეთის ფედერაციის „სამშვიდობო ძალებისათვის“ საპოლიციო ფუნქციის მინიჭება, მით უფრო – მათი მოქმედების არეალის გაფართოება.

შესწავლილი იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ძალების, მათ შორის, სასაზღვრო ნაწილების ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხი, მომზადდეს სათანადო საკანონმდებლო ბაზა, მიღებულ იქნეს ქმედითი პოლიტიკური და დიპლომატიური ზომები აღნიშნული პროცესის საწყისი ვადის განსაზღვრისა და მისი უახლოეს პერიოდში დასრულებისათვის.

შესწავლილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსეთის ფედერაციის სამხედრო ქონების საკითხი.

6. კონფლიქტის ზონებში დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება განხორციელდეს მათი უსაფრთხოების სრული გარანტიის, საქართველოს იურისდიქციისა და

კონსტიტუციური წესრიგის ფაქტობრივი აღდგენის პირობებში.

საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების, საქართველოს საკანონმდებლო აქტებისა და ამ კონცეფციის საფუძველზე საქართველოს სახელმწიფო ორგანოებმა გაატარონ ქმედითი ზომები ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით. შემუშავდეს კონფლიქტების ზონიდან სამშვიდობო ძალების გაყვანის შემდეგ საომარ მოქმედებათა განახლებისა და შესაძლო პროვოკაციების აღკვეთის ღონისძიებათა გეგმა, მომზადდეს პირობები მისი განხორციელებისათვის.

7. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში შემდგომი დაბრკოლებების შექმნის და ხელშეკრულებათა დარღვევის შემთხვევაში დაისვას საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული პოლიტიკური და სამხედრო ხასიათის ხელშეკრულების მოქმედების და საქართველოს დსთ-ს სამხედრო გაერთიანებაში შემდგომი მონაწილეობის მიზანშეწონილობის საკითხი.

8. შეიქმნას საკანონმდებლო ბაზა და განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებანი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების თანამშრომელთა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებიდან ჩამოცილების მიზნით.

9. დაიწყოს საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილისა და 2 ოქტომბრის დადგენილებების სრული მასშტაბით განხორციელება.

საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მდგრადობის, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების განმტკიცების, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კონცეფციის (ძირითადი პრინციპები) რეალიზებისა და საკანონმდებლო ბაზის შექმნის ამოცანებიდან გამომდინარე, აუცილებლად ჩაითვალოს შემდეგი კანონების შემუშავება:

1. საქართველოს სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების შესახებ.

2. საქართველოსაგან მიტაცებული (ოკუპირებული) ტერიტორიების სამართლებრივი სტატუსის შესახებ.

3. უცხო ქვეყნების ჯარების საქართველოს ტერიტორიაზე დროებით განლაგების შესახებ.

4. რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გაყვანამდე საქართველოს ტერიტორიაზე მათი გადაადგილებისა და ფუნქციონირების შესახებ.

5. საქართველოს სახელმწიფო საზღვრების შესახებ.

6. ლუსტრაციის შესახებ.

7. უშიშროებისა და სამხედრო აღმშენებლობის კონცეფციები.

კონცეფციის პრაქტიკული განხორციელებისათვის შეიქმნას სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომლის კომპეტენციაც იქნება როგორც თანამიმდევრობისა და ნუსხის განსაზღვრა, აგრეთვე პრაქტიკული ღონისძიებები სახელმწიფო დონეზე განხორციელება.